

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ მოზარდებთან (13-15წელი) არტ-თერაპიული მეთოდების გამოყენების ეფექტურობის კვლევა

ანი პავლიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად
პროგრამა

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან მირცხულავა, ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ანი პავლიაშვილი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ მოზარდებთან (13-15წელი) არტ-თერაპიული მეთოდების გამოყენების ეფექტურობის კვლევა

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენს მიერ შემუშავებული არტ-თერაპიული მეთოდები მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები მოზარდების აგრესიისა და შფოთვის მაჩვენებლებზე.

კვლევის მიზნის შესაბამისად, ჩვენს ამოცანებს შეადგენდა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვებისათვის რელევანტური არტ-თერაპიული მეთოდების სისტემის შემუშავება, შემუშავებული არტ-მეთოდების სისტემით მუშაობა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ 30 მოზარდთან (ოთხი ჯგუფი) ოთხი კვირის განმავლობაში (16 საათი), ჩვენს მიერ შემოთავაზებული არტ-მეთოდების სისტემის ეფექტურობის კვლევა ბას-დარკის აგრესიის ტესტისა და ჩ. დ. შპილბერგერის შფოთვის ტესტების გამოყენებით. სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები 13-15 წლის მოზარდები.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ მოზარდებთან ჩვენს მიერ შემუშავებული არტ მეთოდების სისტემით მუშაობის შედეგად უნდა შემცირდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში (SOS-ბავშვთა სოფელი) მცხოვრები მოზარდების აგრესიისა და შფოთვის დონეები , რაც ასახავს ჩვენს მიერ შემუშავებული არტ-მეთოდების სისტემის ეფექტურობას.

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აგრესიისა და შფოთვის მონაცემები თანაბრად არ ექვემდებარება ჩვენს მიერ შემუშავებული, არტ-თერაპიული მეთოდების სისტემის ზემოქმედებას. კერძოდ, აღინიშნება აგრესიის მაჩვენებელთა მეტი „სენსიტიურობა“ ზემოქმედების მიმართ. გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით, არტ-მეთოდების სისტემის ზემოქმედება მდებარეობითი სქესის ცდისპირებში აისახება ფიზიკური აგრესიის და ვერბალური აგრესიის დონეთა შემცირებაში, მაშინ როდესაც მამაკაცებთან - სახეზეა გაღიზიანებისა და ვერბალური აგრესიის შემცირება; შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცებთან ფიზიკური აგრესიის მაჩვენებელი ნაკლებად ექვემდებარება არტ-ფსიქოლოგიურ ჩარევას. რაც შეეხება ჩვენს მიერ შემუსავებული არტ-მეთოდების სისტემის ეფექტურობის საკითხს, ის შემდგომ კვლევას და ახალ ემპირიულ მონაცემებს საჭიროებს.